საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა

29 მაისი, 2024 წ. | სასტუმრო ჰოლიდეი ინი | დასაწყისი 16:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ

ააიპ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს გამგეობის წევრები

მერაბ ანთაძე	(დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
კობა გიორგაძე	(დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
თორნიკე გოგებაშვილი	(დაბადებული 16.01.1989 წ; პირადი№ 12001014781)
მამუკა გორგოძე	(დაბადებული 14.07.1984 წ; პირადი № 01031003677)
აკაკი დავითულიანი	(დაბადებული 01.06.1975 წ.; პირადი № 12001031106)
დავით კაჭარავა	(დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)
გიორგი კობახიძე	(დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
იოსებ ტყემალაძე	(დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
გრიგოლ ქერაშვილი	(დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
გელა ქობულაძე	(დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
გივი ჭიჭინაძე	(დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)
ალექსანდრე ხვედელიძე	(დაბადებული 21.10.1965 წ; პირადი № 01014002287)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები

- მსოფლიო რაგბის მაღალი მიღწევების კონსულტანტი ლაშა ხურციძე
- სრკ-ს ადმინისტრაციული დირექტორი ჯემალ არჯევანიძე
- სრკ-ს მაღალი მიღწევების დირექტორი ლევან მაისაშვილი
- სრკ-ს განვითარების დირექტორატის თანამშრომელი ივანე დავითაშვილი
- სრკ-ს განვითარების დირექტორატის თანამშრომელი გიორგი ტყეშელიაძე
- სრკ-ს კადრების მენეჯერი თამარ გიორგობიანი

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შემავალი შემდეგი საკითხები:

1. საკლუბო რეფორმა, მათ შორის:
   1.1. კლუბებში უცხოელი მორაგბეების რაოდენობის შეზღუდვა
   1.2. რეგიონული ლიგა (დაფინანსება)
   1.3. ესპუართა ლიგა
   1.4. დიდი10-ის სამონაწილეო მოთხოვნები და აღსრულება
   1.5. საკრედიტო სისტემა
   1.6. აკადემიის სტასტუსი

2. შპს „ანაგი დეველოპმენტი 1“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 404567713) და ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირს (საიდანტიფიკაციო ნომერი 204874911) შორის 2018 წლის

27 ნოემბერს გაფორმებული მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში „ნასყიდობის ხელშეკრულება“) ფარგლებში უძრავი ქონების საკუთრებაში მიღება

3. 2024 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში გამართულ მატჩებზე დამატებით გამოძახებული მორაგბეების პრემირება.

და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სრკ-ს მიერ დაგეგმილ საკლუბო რეფორმას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს განვითარების დირექტორატის თანამშრომლების ივანე დავითაშვილის და გიორგი ტყეშელიაძის პრეზენტაცია, რომელსაც მხარი დაუჭირეს სრკ-ს მაღალი მიღწევების დირექტორმა ლევან მაისაშვილმა და მსოფლიო რაგბის მაღალი მიღწევების კონსულტანტმა ლაშა ხურციძემ.
აღნიშნული პრეზენტაცია მოიცავდა საკლუბო რეფორმის საკვანძო კომპონენტებს, რომელთა დახვეწაზეც დღემდე მიმდინარეობდა მუშაობა, კერძოდ:

1.1. კლუბებში უცხოელი მორაგბეების რაოდენობის შეზღუდვა
1.2. რეგიონული ლიგის სტატუსი და დაფინანსება
1.3. ესპუართა ლიგა
1.4. დიდი10-ის სამონაწილეო მოთხოვნები და აღსრულება
1.5. საკრედიტო სისტემა
1.6. კლუბებისთვის აკადემიის სტასტუსის მინიჭება

მსჯელობის შემდგომ, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1.1. <u>უცხოელი მორაგბეების რაოდენობის შეზღუდვა</u>

საქართველოში რაგბის განვითარებისა და საქართველოს ჩემპიონატის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, 2024-2025 წწ. სეზონში დაწესდეს შემდეგი შეზღუდვა: თითო გუნდს მიეცეს უფლება 23-კაციან <u>სათამაშო</u> განაცხადში შეიყვანოს არაუმეტეს 3 (სამი) უცხოელი (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე) მორაგბისა, ხოლო 2025-2026 წწ. სეზონში - არაუმეტეს 2 (ორი) უცხოელი (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე) მორაგბისა <u>საშეჯიბრო</u> განაცხადში.
შეზღუდვა ძალაშია საქართველოს ჩემპიონატის ყველა ლიგისთვის.

საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დებულებას დაემატოს 5.9 პუნქტი და ჩამოyალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5.9 პუნქტი

„2024-2025 წწ. სათამაშო შეზონში თითო გუნდს უფლება აქვს 23-კაციან <u>სათამაშო</u> განაცხადში შეიყვანოს მხოლოდ 3 (სამი) უცხოელი (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე) მოთამაშე, ხოლო 2025-2026 წწ. სათამაშო სეზონში - თითო გუნდს უფლება აქვს გუნდის საშეჯიბრო განაცხადში შეიყვანოს მხოლოდ 2 (ორი) უცხოელი (საქართველოს მოქალაქეობის არმქონე) მოთამაშე. შეზღუდვა ეხება სრკ-ს ორგანიზებით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილე გუნდებს (კლუბებს).“

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

1.2. <u>რეგიონული ლიგის სტატუსი და დაფინანსება</u>

გამგეობის წევრებმა იმსჯელეს საქართველოს ჩემპიონატისთვის რეგიონული ლიგის აუცილებლობაზე და ამჟამინდელ სტატუსზე, შეაფასეს ამ ლიგაში

მოასპარეზე გუნდების მდგომარეობა და მიიღეს გადაწყვეტილება, მხარი დაეჭირათ შემოთავაზებული ცვლილებისთვის:
2024-2025 წწ. სათამაშო სეზონში დიდი 10, პირველი ლიგა და რეგიონალური ლიგა ჩატარდეს იგივე ფორმატით, ხოლო 2025-2026 წწ. სეზონიდან გაუქმდეს რეგიონალური ლიგის დაფინანსება და შეიქმნას ალტერნატიული ტურნირი სამოყვარულო გუნდებისთვის.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

1.3. <u>ესპუართა ლიგა</u>

ესპუართა ლიგის ფორმატის, შემადგენლობის და დაფინანსების თაობაზე გამართული მსჯელობის ფარგლებში, გამოიკვეთა აღნიშნული ლიგის აუცილებლობა მაღალრეიტინგიან კლუბებში მოთამაშეების დაკავებისა და განსწავლისთვის, აღინიშნა, რომ დაბალი რეიტინგის მქონე არასტრუქტურირებული კლუბებისთვის ესპუართა ლიგაში ასპარეზობა სირთულეს წარმოადგენს, როგორც მოთამაშეთა ხელმისაწვდომობის, ისე ლოგისტიკისა და ბიუჯეტის სიმცირის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამგეობის წევრებმა მხარი დაუჭირეს შემოთავაზებულ ცვლილებას:

- 2024-2025 წწ. სეზონში ესპუართა ლიგაში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 10 გუნდით;
- თითოეული მონაწილე გუნდის საბაზო დაფინანსებამ შეადგინოს 40 000 ლარი;
- ესპუართა ლიგის საპრიზო ფონდი განისაზღვროს 100 000 ლარით;
- ესპუართა ლიგაში მონაწილეობის უფლება მიენიჭოს დიდი 10-ის გუნდებს, ხოლო დიდი 10-ის გუნდების მიერ ექსპუართა ლიგაში მონაწილობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ესპუართა ლიგაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ პირველი ლიგის გუნდებს შესაბამისი რეიტინგის მიხედვით.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

1.4. <u>დიდი 10-ის კლუბებისთვის დაწესებული მოთხოვნები და მათი აღსრულება</u>

განვითარების დირექტორატმა წარმოადგინა ძირითადი მოთხოვნების ნუსხა, რომელთა შესრულებაც სავალდებულო უნდა გახდეს დიდი 10-ში მონაწილე გუნდებისთვის. ესენია:

- სათანადოდ ლიცენზირებული მწვრთნელები:
  III დონე - 1 მწვრთნელი; II დონე - 6 მწვრთნელი
- სათანადოდ ლიცენზირებული ფიზ.მომზადების გუნდი:
  II დონე - 1 სპეციალისტი; I დონე – 2 სპეციალისტი
- სამედიცინო პერსონალი:
  II დონე - 1 სპეციალისტი; პირველადი დახმარება - 6 სპეციალისტი
- ჯიპიეს-სისტემების გამოყენება

გამგეობის წევრებმა, შეაფასეს რა არსებული მდგომარეობა, გაითვალისწინეს შემოთავაზებული მოთხოვნები იმ დათქმით, რომ დიდი 10-ში ახლად დაწინაურებულ გუნდებს დაწესებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მიეცეთ 1 სათამაშო სეზონი, სხვა დანარჩენ შემთხვევაში აღნიშნული წესი ამოქმედდეს 2024-2025 წ.წ. სათამაშო სეზონიდან.
ჯარიმები აღნიშნული მოთხოვნებების დარღვევისთვის გაიწეროს სადისციპლინო რეგულაციის შესაბამის დანართში ფიქსირებული ჯარიმების სახით.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

1.5. <u>კლუბების სტრუქტურული განვითარების ხელშემწყობი ბონუს-სისტემა</u>

კლუბების ყოველმხრივი განვითარებისა და მორაგბეთა რაოდენობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, განვითარების დირექტორატის მიერ შემოთავაზებულ იქნა ბონუს-სისტემა, რომელიც გულისხმობს ქართული კლუბებისთვის დამატებითი მატერიალური ბონუსების შემოთავაზებას მნიშვნელოვანი განვითარების მარკერების დაკმაყოფილებისთვის. კერძოდ:

მარკერი	**ბონუსის კოეფიციენტი**	**ბონუსის ოდენობა (ლარი)**	**შენიშვნა**
ა ლიგის გუნდი	2	20 000	
ბ ლიგის გუნდი	0.5	5 000	
15-წლამდელთა გუნდი (საფესტივალო)	0.5	5 000	ბონუსის მინიჭება ხდება მხოლოდ 1 გუნდზე
13-წლამდელთა გუნდი (საფესტივალო)	0.25	2 500	ბონუსის მინიჭება ხდება მხოლოდ 1 გუნდზე
11-წლამდელთა გუნდი (საფესტივალო)	0.25	2 500	ბონუსის მინიჭება ხდება მხოლოდ 1 გუნდზე
9-წლამდელთა გუნდი (საფესტივალო)	0.25	2 500	ბონუსის მინიჭება ხდება მხოლოდ 1 გტუნდზე
7-წლამდელთა გუნდი (საფესტივალო)	0.125	1 250	ბონუსის მინიჭება ხდება მხოლოდ 1 გუნდზე
შვიდქალა გუნდი	1.5	15 000	უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა შიდა ღონისძიებაში
რეგისტრირებული აქტიური მსაჯი	0.5 თითო მსაჯზე	5 000	უნდა ფლობდეს შესაბამის აკრედიტაციას და ირიცხებოდეს მსაჯთა სამსახურში

შენიშვნა: 1 კოეფიციენტი = 10,000 ლარს

აღნიშნული სისტემა მოწონებულ იქნა გამგეობის წევრების მიერ, თუმცა სრკ-ს პრეზიდენტმა ითხოვა დამატებითი დრო მისი აღსრულების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი სახსრების მოსაზიდად.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

1.6. <u>კლუბებისთვის აკადემიის სტასტუსის მინიჭება</u>

საკლუბო რეფორმის ერთერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის სახით წარმოდგენილ იქნა საკლუბო აკადემიების კონცეფცია, რომელმაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს მოთამაშეებისა და სპეციალისტების უფრო ეფექტურ, ფართომასშტაბიან განსწავლას სათანადო გარემოში ცენტრალურად შეთანხმებული საწვრთნელი პროგრამის გატარების გზით.

საკლუბო აკადემიების მასპინძელი კლუბების შერჩევა მოხდება შემდეგი პრინციპით:

- კლუბში **მოთამაშეთა რაოდენობა** - 400-ზე მეტი;
- „ა“ და „ბ“ ლიგების გუნდებში **მოთამაშეთა რაოდენობა** - 100-ზე მეტი;
- **ინფრასტრუქტურა** - სარაგბო ბაზა შესაბამისი სატრენაჟორო დარბაზით;
- **თანამშრომლები** - III დონის მწვრთნელი, II დონის ფიზ. მომზადების სპეციალისტი, კვალიფიციური ფიზიოთერაპევტი;

- **ხარისხი** - 18-წლამდელთა და 20-წლამდელთა ნაკრებებში მოხვედრილი მოთამაშეების რაოდენობა.
- მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შემოთავაზებულ კონცეფციას.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა შპს ,,ანაგი დეველოპმენტი 1"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 404567713) და ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირს (საიდანტიფიკაციო ნომერი 204874911) შორის 2018 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში ,,ნასყიდობის ხელშეკრულება") ფარგლებში უძრავი ქონების საკუთრებაში მიღებას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე გოგებაშვილის განმარტება შპს ,,ანაგი დეველოპმენტი 1"-თან სრკ-ს ურთიერთობების არსებული მდგომარეობის, მისაღები უძრავი ქონების ოდენობაზე და საკუთრებაში მიღების საკითხზე. იმსჯელეს რა აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე და ქართული სარაგბო თემისთვის მის მნიშვნელობაზე, გამგეობის წევრებმა დაადგინეს მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება (ყრილობა), რათა სრკ-ს ნამდვილმა წევრებმა ერთობლივად გადაწყვიტონ აღნიშნული ქონების მიღებისა და განკარგვის წესი. ყრილობის თარიღს, ჩატარების ადგილს და ზუსტ დღის წესრიგს სრკ-ს გამგეობა გამოაცხადებს დამატებით.
გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა 2024 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფარგლებში გამართულ მატჩებზე დამატებით გამოძახებულ მორაგბეებზე კომპენსაციების გაცემას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე გოგებაშვილის განმარტება იმის თაობაზე, რომ 2023 წლის 16 თებერვალს სრკ-ს გამგეობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეებზე კომპენსაციის გაცემის წესის" თანახმად, კომპენსაცია გაიცემა არაუმეტეს 34 (ოცდათოთხმეტი) მოთამაშეზე. ამასთან, წლევანდელი რაგბი ევროპის ჩემპიონატის მატჩებზე ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ახდენდა მოთამაშეთა სელექციას, რის გამოც დასჭირდა რიგ თამაშებზე დამატებითი მორაგბეების გამოძახება (საქართველო-გერმანია, 04.02.2024 წ. - 35 მორაგბე; საქართველო-ნიდერლანდები, 10.02.2024 წ. - 37 მორაგბე; საქართველო-ესპანეთი, 17.02.2024 წ. - 35 მორაგბე; საქართველო-პორტუგალია, 17.03.2024 წ. - 35 მორაგბე) და ითხოვა გამონაკლისის წესით მხოლოდ ამ ოთხ მატჩზე მის მიერ გამოძახებულ <u>ყველა</u> მოთამაშეზე გაცემულიყო კომპენსაციები დადგენილი ოდენობით.
გამგეობის წევრებმა ერთხმად დაადგინეს გამონაკლისის სახით თანხმობა მიეცეს სრკ-ს აღმასრულებელ დირექტორს მითითებულ თამაშებზე ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულ დამატებით მორაგბეებზე:

თამაში	თარიღი	დამატებით გამოძახებული მორაგბეების რაოდენობა
საქართველო-გერმანია	04.02.2024	1
საქართველო-ნიდერლანდები	10.02.2024	4
საქართველო-ესპანეთი	17.02.2024	1
საქართველო-პორტუგალია	17.03.2024	1

გასცეს კომპენსაციები „საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშეებზე კომპენსაციის გაცემის წესით" განსაზღვრული ოდენობით.

გამგეობის სხდომის დასასრულს, სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა გამგეობის წევრებს გაუზიარა კლუბ რუსთავის „რუსთავის“ მენეჯერის ლუკა ბეჟუაშვილის მომართვა გამგეობის სახელზე, რომელიც ეხებოდა ამა წლის 18 მაისს ქუთაისის „ბაგრატსა“ და რუსთავის „რუსთავს“ შორის გამართული I ლიგის გადასასვლელი მატჩის დროს დაფიქსირებულ ინციდენტს. გამგეობის წევრებმა იმსჯელეს კლუბ „რუსთავის“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე, მაგრამ დაადგინეს, რომ აღნიშნული საკითხი სცილდება გამგეობის კომპეტენციას.

მერაბ ანთაძე _____

კობა გიორგაძე _____

თორნიკე გოგებაშვილი _____

მამუკა გორგოძე _____

აკაკი დავითულიანი _____

დავით კაჭარავა _____

გიორგი კობახიძე _____

იოსებ ტყემალაძე _____

გრიგოლ ქერაშვილი _____

გელა ქობულაძე _____

გივი ჭიჭინაძე _____

ალექსანდრე ხვედელიძე _____